პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის ძე-10 წელი

№ 67 (666) | ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

ხელი შევუწყოთ საწარმოთა კოლექტივების განმტკიცებას

არნახული ტემპით ვითარდება საბჭოთა სამშობლოს ინდუსტრია. ჩვენი თვალუწვდენი ქვეყანა დაფარულია გიგანტური ქარხნებით, ფაბრიკებით, უამრავი სხვადასხვა სახის საწარმოთი... საბჭოთა ადამიანებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს შრომის ფრონტზე, ყოველდღიურად იზრდება სტახანოველთა რიგები, წარმოების ნოვატორებს ახალ-ახალი გაუმჯობესებები შეაქვთ მექანიზმებში, რითაც მილიონობით მანეთს უზოგავენ სამშობლოს.

უჩვეულოდ გაიზარდა ქვანახშირის, მარგანეცის, ნავთისა და სხვა წიაღისეულის მოპოვება. ჩვენი ინჟინრები, კონსტრუქტორები დაუღალავად მუშაობენ, რათა ფაბრიკა-ქარხნები აღჭურვონ სრულყოფილი ტექნიკით.

საწარმოთა რიცხობრივ და ტექნიკურ ზრდასთან ერთად იზრდება კვალიფიციურ მუშათა კადრების რიცხვი, მათი კეთილდღეობისათვის, მათი კულტურული და ბედნიერი ცხოვრებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა ყველაფერს აკეთებენ. საბჭოთა ქვეყნის მუშებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი შრომისა და ნაყოფიერი დასვენებისათვის.

ქარხნების, ფაბრიკების, საბადოების და სხვა საწარმოთა მუშაკები პარტიისა და მთავრობის მამობრივ მზრუნველობას შრომის ფრონტზე ახალი გამარჯვებებით უპასუხებენ. მათ იციან, რომ გამომუშავებული ზეგეგმითი პროდუქცია აჩქარებს ჩვენს წინსვლას, კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

მუშების ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ დაინერგა ფიზკულტურა და სპორტი. ბევრ ქარხანა-ფაბრიკასთან არსებობს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, ძლიერი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი, ხშირად იმართება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, სპარტაკიადები, ამხანაგური შეხვედრები მეზობელ საწარმოებთან. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა გორის საკონსერვო ქარხანაში, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში.

მაგრამ თუ გადავხედავთ საწარმოთა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობას, შევამჩნევთ, რომ ბევრგან მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა დედაქალაქის საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადაზე, რომელიც მიმდინარე წელს ჩატარდა.

სპარტაკიადამ ცხადყო, რომ თბილისის საწარმოების ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში თითქმის ჩაშლილია მძლეოსანთა სექციების მუშაობა. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ 400 მონაწილიდან მხოლოდ ორმა შეასრულა მესამე თანრიგის ნორმა. შეჯიბრებაზე წარმოდგენილი გუნდების წევრები ვერ ერკვეოდნენ რბენის, ტყორცნისა და მძლეოსნობის სხვა სახეობათა ტექნიკის ელემენტარულ საკითხებში, იყო შემთხვევა, როცა არა თუ თანრიგოსნის, არამედ ნიშნოსნის ნორმებსაც ვერ ასრულებდნენ.

ყოველივე ეს მოხდა იმიტომ, რომ დედაქალაქის საწარმოთა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მძლეოსნურ სექციებში არ წარმოებს სისტემატური წვრთნა. გუნდების უმრავლესობა შეკოწიწებულ იქნა შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ცხადია, რომ ასე ორგანიზებულ ღონისძიებას კარგი შედეგი არ მოჰყვებოდა.

ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები მოვალენი არიან შეჯიბრება ჩაატარონ არა მარტო იმისათვის, რომ საკუთარ დავთრებში აღნიშნონ მოწყობილი ღონისძიების შესახებ და შემდეგ დამშვიდებას მიეცნენ. ჩვენ შეჯიბრება გვჭირდება იმისათვის, რომ შევაჯამოთ და კიდევ უფრო გავზარდოთ ჩვენი მუშაობის შედეგები. საწარმოთა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა სპორტული საზოგადოებების, კომკავშირისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს.

საწარმოთა სპორტულ მოედნებზე სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, აგრეთვე კვირა დღეებში უნდა იმართებოდეს საინტერესო სპორტული ასპარეზობანი ფართო პროგრამით. მუშები უნდა დავაინტერესოთ სპორტით, ჩავატაროთ მათთან საუბრები, გამოვუშვათ სპორტული კედლის გაზეთები, მოვაწყოთ კოლექტიური დასწრება დიდ სპორტულ ღონისძიებებზე, სპორტის ოსტატების მონაწილეობით გავმართოთ საჩვენებელი გამოსვლები.

მთავარია ადგილზე პრაქტიკული დახმარება გავუწიოთ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელებს, რომლებიც თავის მხრივ მუდამ უნდა ცდილობდნენ შექმნან მტკიცე აქტივი, დაეყრდნონ მას და უკეთ წარმართონ საქმიანობა.

საწარმოთა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა, ჩვენი ვალია ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი მუშების ფიზიკურად გამოწრთობას, ორგანიზაციულად განვამტკიცოდ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები, ხალისიანი და მიმზიდველი გავხადოთ სექციების საქმიანობა.

სურათზე: ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალში გამარჯვებულნი (ზევიდან ქვევით) გ. კარტოზია, მ. ჯუღელი და გ. დარბაისელი.

ძალოსნები გაემგზავრნენ სტოკჰოლმს

ამ დღეებში მოსკოვიდან სტოკჰოლმს გაემგზავრა საბჭოთა ძალოსანთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო პირველობაზე სიმძიმეების აწევაში.

შეჯიბრების დაწყების წინ სტოკჰოლმში მოეწყობა სიმძიმეების აწევის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის სიმძიმეების აწევის სექციის წარმომადგენლები — სიმძიმეების აწევის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. ნაზაროვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. შატოვი და საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელი მ. პესლიაკი.

* * *

ამას წინათ მოსკოვში „ზენიტის" სპორტულ კლუბში გაიმართა ძალოსანთა საკლასიფიკაციო შეჯიბრება.

სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ა. მედვედევმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი მძიმე წონაში. მან ორი ხელით აჰკრა 138,2 კილოგრამი, რითაც 1,3 კგ გადააჭარბა 1949 წელს დამყარებულ ი. კუცენკოს რეკორდს.

სპორტის ოსტატმა ბ. ფარხუტდინოვმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი ორი ხელით აჰიდვაში მჩატე წონის ძალოსანთათვის. მისი შედეგია 97 კილოგრამი.

საჰაერო პარადი ტუშინოს აეროდრომზე მოსკოვში

23 აგვისტოს ტუშინოს აეროდრომზე მოეწყო საჰაერო პარადი, რომელსაც ათიათასობით მაყურებელი დაესწრო.

დღის 12 საათისათვის სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის შენობის ტრიბუნაზე ავიდნენ ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, ავიაციის მარშალი პ. ფ. ჟიგარევი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი და სხვები. დამსწრენი მათ მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

პირველად ცაზე გამოჩნდა თორმეტი მანქანა „იაკ-12". მეწინავე თვითმფრინავზე აღმართულია წითელი დროშა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სურათებით. მომდევნო მანქანებს მოაქვთ სამხედრო-საჰაერო ძალების ალმები, მოკავშირე რესპუბლიკების დროშები — ჩვენი სამშობლოს ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის სიმბოლო. სახელგანთქმულ მფრინავებთან ერთად შესანიშნავად მოჰყავთ თავიანთი მანქანები დოსააფის მფრინავ-სპორტსმენებს. მათ შორის არიან მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის მხეხავი ლ. მუხინი და მოსკოვის მექანიკური ქარხნის ზეინკალი მ. სემიონოვი.

დამსწრეთა მქუხარე ტაში გამოიწვია „იაკ-18" სამოცდათხუთმეტი თვითმფრინავის გამოჩენამ: ისინი ცაზე ისე იყვნენ განლაგებულნი, რომ წარმოქმნიდნენ სიტყვებს:

დიდება სსრ კავშირს!

თვითმფრინავებს შორის შესანიშნავად იცავენ ინტერვალებს დოსააფის სპორტსმენები — სატრანსფორმატორო ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე ი. ლუპაშევი და მექანიკური ქარხნის ბრიგადირი პ. სმირნოვი, ელექტრომექანიკური ქარხნის ხარატი ი. გორშენინი, სტალინის სახელობის ავტოქარხნის ელექტრომონტიორი ი. კუროზაევი და სხვ. მოსკოველებთან ერთად მწყობრში მოფრინავს პენზის ოლქის ბოლშე-ვიასსკის რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ გოდიაევი.

გამოჩნდა ხუთი სასპორტო თვითმფრინავი, რომლებიც მოჰყავთ მფრინავ ქალებს, საბჭოთა კავშირის გმირს მარინა ჩეჩნიოვას, ა. ბოდრიაგინას, ვ. დუბროვინას, მ. დრიგოსა და ა. შმელკოვას. მამაცი მფრინავი ქალები ბრწყინვალედ ასრულებენ უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს და მაყურებელთა აღტაცებას იწვევენ.

ასევე განსაცვიფრებელი ოსტატობით შესრულა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურები პლანერისტთა ჯგუფმა ნ. ჩერნიშოვას, ს. ესაულოვის, ე. აფრიკანოვის, ა. შტანოვასა და ა. ჩებოტარიოვის შემადგენლობით. ამ ამხანაგებმა პილოტირების ტექნიკა აითვისეს სწავლისა და მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

მძლავრი გუგუნით ახლოვდება ოცდაოთხი თვითმფრინავი, რომლებიც მოჰყავთ მფრინავ-სპორტსმენებს. ისინი პილოტაჟს მხოლოდ ერთი წელია რაც დაეუფლნენ, მაგრამ საუკეთესოდ ფლობენ თვითმფრინავის ტარების მაღალ ოსტატობას. ესენი არიან მოსკოველი ოსტატი ვ. შჩენკინი, ტექნიკოსი ა. მუხინი, სტუდენტები კ. რომაშევსკი, ა. პერშინი, კ. კაბატოვა, ვ. გრომოვა, ლ. კირიანოვი. მათ არ ჩამორჩებოდნენ უგლიჩელი მესაათე ნ. ზიმინი და ქურ[illegible] ქალაქ შახტიდან ა. ზახაროვი.

ამით დამთავრდა სპორტსმენ-მფრინავთა გამოსვლები, რომელსაც ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ნ. კამანინი. დაიწყო მეორე განყოფილება, რომელშიც მონაწილეობენ სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავები ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის ს. რუბანოვის ხელმძღვანელობით.

აეროდრომს უახლოვდება რეაქტიული გამანადგურებელი, რომელსაც მართავს მაიორი ვ. ლაპშინი. გამანადგურებელი ელვის სისწრაფით აიჭრა ჰაერში. ერთი მეორეს ცვლიან ფიგურები — „მარყუჟი", მეორე „მარყუჟი", „ნახევრადმარყუჟი", „ორმაგი კასრი", ფრთაზე გადაბრუნება... ეს არის ბრწყინვალე ინდივიდუალური პილოტაჟი! ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა მფრინავებმა პირველებმა მსოფლიოში სრულყოფილად აითვისეს ინდივიდუალური და ჯგუფური უმაღლესი პილოტაჟი რეაქტიული თვითმფრინავებით.

ამის შემდეგ დაიწყო ჯგუფური უმაღლესი პილოტაჟის ჩვენება სამი რეაქტიული გამანადგურებლით.

ძლიერდება მანქანების გუგუნი — ახლოვდებიან რეაქტიულ ბომბდამშენთა კოლონები. პირველ კოლონას მიუძღოდა პოლკოვნიკი ს. დოლგუშინი. მეორე განყოფილება დამთავრდა რეაქტიული გამანადგურებლების კოლონების ფრენით.

საჰაერო პარადის მესამე განყოფილება (ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. გორბატოვი) გახსნა ავტოჟირების ორმა ჯგუფმა. მათ მეთაურობენ პოლკოვნიკი ა. ეროფეევსკი და პოლკოვნიკი ფ. პროკოპენკო.

ამ ორიგინალურმა თვითმფრინავებმა მცირე სიმაღლეზე წრე გააკეთეს, მანქანების პირველი ჯგუფი ისე დგას მინდვრის თავზე, გეგონებათ ჰაერშია დაკიდებულიო. შემდეგ მიწაზე დაეშვა მეთაური მანქანა, რომელსაც დანარჩენებიც მიჰყვნენ. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მიწაზე ვეებერთელა კალიები ჯდება.

მანქანები დაჯდნენ. მათგან გადმოტვირთეს ავტომობილები და მოტოციკლეტები. მძღოლებმა აამუშავეს მოტორები და წუთის შემდეგ ავტოკოლონა უკვე აეროდრომზე მიჰქროდა. შეასრულეს რა სადესანტო დავალება ავტოჟირების ორივე ჯგუფი პირდაპირ ადგილიდან ჰაერში ავიდა.

ამის შემდეგ დაიწყო პარაშუტისტთა ოსტატობის ჩვენება. სატრანსპორტო თვითმფრინავიდან „ილ-12"-დან,

საჰაერო ღღესასწაული დასასრულს უახლოვდება. გაისმის რადიოს ხმა: „ყურადღება!" ახლოვდება 36 სატრანსპორტო თვითმფრინავი, კოლონა მოჰყავს პოლკოვნიკ ვ. შალუხინს, აი, პირველი თვითმფრინავიდან გადმოხტა პარაშუტისტების ჯგუფი. ხტებიან სპორტსმენები მეორე, მესამე, მეოთხე მანქანიდან.. მტრედისფერი ცა დაიფარა უამრავი სხვადასხვა ფერის პარაშუტით, რომლებიც შორიდან ყვავილების თაიგულებს გვანან. იშვიათი სილამაზის სანახაობა იყო!

ტუშინოში ჩატარებული ტრადიციული საჰაერო პარადი (მთავარი ხელმძღვანელი ავიაციის მარშალი პ. ჟიგარევი) იყო როგორც წარმტაცი სადღესასწაულო სანახაობა, ასევე ჩვენი სამშობლოს ავიაციის, საავიაციო ტექნიკის, სამხედრო მფრინავებისა და მფრინავ სპორტსმენების დიდი მიღწევების ნათელი დემონსტრაცია.

ნორჩ მოცურავეთა საკავშირო რეკორდები

დიდი პოპულარობით სარგებლობს ესტონეთში საწყლოსნო სპორტი. ამას წინათ ქალაქ ელვაში ჩატარდა რესპუბლიკის ნორჩ მოცურავეთა პირად-გუნდური პირველობა. ნორჩმა სპორტსმენებმა დაამყარეს 3 საკავშირო და 14 რესპუბლიკური რეკორდი. დიდი წარმატება ხვდა წილად 15 წლის დინამოელ გოგონას გ. ოლმარს. მან 100 მეტრზე და 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი. ასი მეტრი მანძილი გაცურა 1.27,9, 200 მეტრი კი — 3.13,1. მესამე საკავშირო რეკორდი ისევ გოგონათა გუნდმა დაამყარა. ა. და ტ. ტიპელებმა, ვ. ნააბერმა და უ. ვოგმა ამანათცურვაში 4×100 ნებისმიერი სტილით 5.10,8 დაფარეს.

ი. ნოვიკოვი — ჩემპიონი ხუთჭიდში

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. მასში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 36 უძლიერესი სპორტსმენი. მოსკოვის მიდამოებში, სადაც ასპარეზობა ტარდებოდა, მრავალრიცხოვანი მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს უძლიერესთა გამოსვლებს. გაიმარჯვებდა ის, ვინც ერთნაირად კარგად იყო დაუფლებული ცხენოსნობასა და ფარიკაობას, ტყვიით სროლას, ცურვასა და მძლეოსნობას. გუნდური პირველობა მოიპოვეს საბჭოთა არმიის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა „დინამოს" კოლექტივი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება თანამედროვე ხუთჭიდში მოიპოვა დინამოელმა ი. ნოვიკოვმა (ერევანი), რომელმაც 4.559 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა პოლიაკოვი, მესამეზე — ნებაბ[illegible] (ორივე საბჭოთა არმია).

ეროვნული ბიბლიოთეკა
მარქსის სახ. ... საჯარო ბიბლიოთეკა

★

დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის ველოსიპედისტთა პირადგუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სამი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის 40 სპორტსმენი.

საგზაო ველოსიპედებით 100 კილომეტრზე პირველობდა გ. ბადიაგინი (ბაქო). თბილისელმა ა. კიკნაძემ მეორე ადგილი დაიკავა. 25 კილომეტრზე ქალთა შორის უძლიერესი იყო ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი მ. ხეჩოიანი (თბილისი), მეორე და მესამე ადგილები კვლავ თბილისელებმა ნ. ჩიკვაიძემ და ტ. პროვატოროვამ დაიკავეს.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა, მეორე ბაქოელებმა.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: რბოლაში გამარჯვებულები (მარცხნივ) მ. ხეჩოიანი და გ. ბადიაგინი.

★

შრომაში განმტკიცებული მეგობრობა

გასული წლის აგვისტოში თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას გორკიდან 40-მდე ახალგაზრდა სპეციალისტი შეემატა. ქართველებმა გულთბილად მიიღეს დიდი რუსი ხალხის შვილები. რუსი გოგონები ნ. მატეიჩევა, ნ. დიმაკოვა, ე. ჟარიკოვა, ნ. სკვორცოვა და სხვები თბილისს მშობლიურ ქალაქს ეძახიან.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ენერგიულად მუშაობენ მზრუნველობით გარემოსილნი რუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი და ბელორუსი ქალიშვილები და ჭაბუკები.

ქარხნის მიერ გამოშვებულ მაღალხარისხოვანი ჩარხების შექმნაში დიდი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდებს, მათ შორის გორკიდან გამოგზავნილი ახალგაზრდა სპეციალისტების ჯგუფს და ამავე ქარხნის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის კურსდამთავრებულებს. ახალგაზრდებში ბევრია სპორტსმენი, რომლებმაც კარგად იციან, რომ მათი ჯანმრთელობის განმტკიცებასა და შრომაში წარმატებას დიდ დახმარებას უწევს ფიზიკური კულტურა და სპორტი.

ქარხნის ძირეულ ფიზკულტურულ ორგანიზაციაში 350-ზე მეტი ახალგაზრდაა ჩაბმული, რომლებიც სისტემატურად მეცადინეობენ ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ქართული ჭიდაობის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, ნადირობის, ალპინიზმისა და სხვა სექციებში. სპორტის აღნიშნულ სახეობათა განვითარებისათვის. ქარხნის ახალგაზრდებს აქვთ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები: საცურაო აუზი, ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. აქვეა საჭადრაკო-საშაშო ოთახი და ოთახი მაგიდის ჩოგბურთისათვის. კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ხშირად აწყობენ ექსკურსიებს „თბილისის ზღვაზე“ და ლისის ტბაზე.

ამას წინათ აქ დამთავრდა შიდასაქარხნო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა 500-მდე ახალგაზრდა. 200 მეტრზე ცურვაში საუკეთესო დრო აჩვენა საიარაღო საამქროს ზეინკალმა კომკავშირელმა ლ. ზდანკევიჩმა, 400 მეტრზე გამარჯვებული გამოვიდა მექანიკური საამქროს ხარატი ა. ლედიაევი, ხოლო გოგონებს შორის ნებისმიერი სტილით ცურვაში ქარხნის ჩემპიონი გახდა ნ. დიმაკოვა.

ქარხნის სპორტსმენები მონაწილეობენ სარაიონო და საქალაქო სპორტულ ღონისძიებებში. ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა წელს სარაიონო შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა, ამავე შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა ქალთა გუნდიც. ნაყოფიერად მუშაობს ალპინისტთა სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პირველთანრიგოსანი, მრავალი ალპური ლაშქრობის მონაწილე, ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. არციშევსკაია. ალპინისტთა სექციის წევრებმა წელს ორჯერ მოაწყეს ლაშქრობა და „სსრ კავშირის ალპინისტის“ სამკერდე ნიშნები დაიმსახურეს. 25 ივლისს ქარხნის ოთხი ალპინისტი გაემგზავრა ცენტრალური კავკასიონის მწვერვალების დასაპყრობად.

ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით ცხოვრობს ახლა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი. დღითიდღე მტკიცდება და ღრმავდება დიდი რუსი ხალხისა და ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა მეგობრობა და კავშირი. მეხუთე წელიწადია ერთმანეთს ეჯიბრება თბილისის კიროვის სახელობისა და ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნების კოლექტივები.

მაისში ერევნელი ჩარხმშენებლები სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად ეწვივნენ თბილისელებს. სტუმრებმა დაათვალიერეს ქარხანა, გაეცნენ მოწინავე ადამიანთა ცხოვრებას, მათი მუშაობის გამოცდილებას. თავისუფალ დროს მოეწყო ამხანაგური შეხვედრა ფრენბურთში, რომელიც მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:0.

ამას წინათ ქართველი ჩარხმშენებლების დელეგაცია ერევნელ ჩარხმშენებლებს ეწვია. მოხდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წლის პირველი ნახევრის შემოწმება. გამოირკვა, რომ ორივე ქარხანა თანმიმდევრულად ასრულებს ვალდებულებებს. ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება მიმდინარე წლის მეორე ნახევრისათვის.

კიროვის სახელობის ქარხანაში ყოველი დღე ახალი შრომითი აღმავლობით აღინიშნება. ქარხნის ახალგაზრდა ჩარხმშენებლები სასახელო წარმატებებს აღწევენ შრომასა და სპორტში.

დ. გევენავა

1.700-მდე ფიზკულტურელის მონაწილეობით

სამ კვირას გრძელდებოდა თბილისის წარმოება-დაწესებულებათა XV საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა, რომელშიც 1.700-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

პირველ ჯგუფში გაიმარჯვა 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდმა, რომელმაც სპორტის 11 სახეობიდან ექვსში პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე ადგილი ამ ჯგუფში წილად ხვდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურულ კოლექტივს, მესამე — კიროვის სახელობის ქარხანას. მეორე ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა 26 კომისრის სახელობის ქარხანა. შემდეგ არიან კალინინის ქარხნისა და „გრუზტრიკოტაჟის“ წარმომადგენლები.

ინდივიდუალურ მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია შეველიოვის (26 კომისრის სახელობის რაიონი) შედეგი ნებისმიერი სტილით 100 მეტრზე ცურვაში — 1:12,5 (მეორე თანრიგი) და 400 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში — 6:02,4 (მესამე თანრიგი). საერთოდ უნდა ითქვას, რომ სპარტაკიადაში ყველაზე კარგი მაჩვენებლებით აღინიშნა მოცურავეთა გამოსვლები, რომელთა შორის ერთმა აჩვენა მეორე თანრიგის და 7-მა მესამე თანრიგის შედეგი. მძლეოსანთა ასპარეზობაში აღსანიშნავია 26 კომისრის სახელობის რაიონის წარმომადგენლის შეგლოვის გამოსვლა, რომელმაც 100 მეტრზე რბენაში აჩვენა — 12,8 (მესამე თანრიგი) და ქალთა შორის ბირთვის კვრაში ფისენკოს (ხორცკომბინატი) შედეგი — 10 მეტრი (მესამე თანრიგი).

100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ფეხსაცმლის ფაბრიკის წარმომადგენელმა დუდჩენკომ — 1[illegible] მეტრის სიმაღლეზე ხტომაში პირველობდა ამავე საწარმოს სპორტსმენი [illegible]ლოვი — 1,55. ქალთა შორის მძლეოსნობის ამ სახეობაში უძლიერესი იყო გლაზოვა (26 კომისრის სახელობის რაიონი) — 1,25.

კარგ წარმატებას მიაღწია კიროვის სახელობის ქარხნის სპორტსმენმა ნონიკაშვილმა წოლელა მცირეყალიბიანი შაშხანით 50 მეტრიდან სროლაში. დააგროვა რა 91 ქულა, შეასრულა მესამე თანრიგის ნორმა.

მიუხედავად იმისა, რომ საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადამ ცხადყო თბილისის წარმოება-დაწესებულებებში ფიზკულტურული მუშაობის ჩამორჩენა, მუშა სპორტსმენთა ასპარეზობას დადებითი მხარეც ჰქონდა. გასულ წელს სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 22 ფიზკულტურულმა კოლექტივმა. წელს კი 32-მა. შარშანდელთან შედარებით გაიზარდა სპარტაკიადის პროგრამაც. მისასალმებელია „გრუზტრიკოტაჟის“ სპორტსმენთა წარმატება, რომლებიც სპარტაკიადაში წელს პირველად მონაწილეობდნენ და მესამე ადგილი დაიკავეს (მეორე ჯგუფის გუნდებს შორის).

სუსტად გამოვიდა შეჯიბრებაში ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივი. გასულ წელს საპატიო პირველი ადგილიდან ქარხნის სპორტსმენებმა წელს მე-6 ადგილზე გადაინაცვლეს. საყვედურის ღირსი არიან ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, მაუდ-კამვოლის ფაბრიკისა და კერამიკული კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებიც სპარტაკიადის ყველა სახეობაში არ მონაწილეობდნენ.

წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „ლელოს“ 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული იყო მამხილებელი წერილი „გამოუყენებელი შესაძლებლობა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხაშურის რაიონის სოფ. ბეკამში ჩაშლილია ფიზკულტურული მუშაობა.

როგორც საქართველოს ალკკ ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. კ. მოწონელიძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

* * *

გაზეთ „ლელოს“ 22 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „მოედანზე კალო“, რომელშიც ლაპარაკია, რომ აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაშლილია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა.

როგორც საქართველოს კ. პ. [illegible]შის რაიკომის მდივანი ამხ. ო. კერძაია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ოსტატდებიან, იწრთობიან...

შეხვედრის დასასრულს რამდენიმე წუთიღა აკლდა. ოფლში გაწურული ფეხბურთელები თავგანწირვით უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს — იქნებ ერთი ბურთი მაინც გავიტანოთ და მშრალი ანგარიშით დამარცხებას თავი დავაღწიოთო. მაგრამ უფრო გამოცდილი მასპინძლები მოსწავლე ფეხბურთელებს არ აძლევდნენ ამის საშუალებას.

მოედანზე მოუსვენრად ისხდნენ თავიანთი გუნდის გულშემატკივარნი, რომელნიც დღეს საგანგებოდ წამოსულიყვნენ ყვარელში. სახელოსნო სასწავლებლის ფორმაში გამოწყობილი ჭაბუკები თავს ვეღარ იკავებდნენ. მათ შორის ჩამჯდარი პატარა ტანის, ჭაღარაშერთული კაცი სკამზე ხტოდა, თითქოს ეკლებზე ზისო. შუბლზე მომსკდარ ოფლს მალი-მალ იწმენდდა.

— ჩვენს დირექტორს გამარჯვება უნდა, ხელის შეწყობაზე კი არ ფიქრობს, — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ერთმა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ამხანაგებს.

ტანმორჩილი კაცის მისამართით ნათქვამი ეს სიტყვები უშუალოდ სამიზნეს მოხვდა და დირექტორს ლოყები შეუფაკლდა, მაგრამ არაფერი თქვა. გულში კი გაკიცხა თავი. სანამ სუსტ გუნდებს ხვდებოდნენ და იმარჯვებდნენ მისი ბიჭები ნამდვილი არწივები ეგონა და დარწმუნებული იყო წვრთნის გარეშეც ადვილად გაიმარჯვებენ ყველა შეხვედრაშიო. დღეს კი სხვანაირად წავიდა საქმე — სამარცხვინოდ მარცხდებოდნენ "არწივი ბიჭები". სირცხვილით იწვოდა დირექტორი, წარსულში თვითონ სპორტსმენი.

მეორე დღეს დირექტორის კაბინეტში კომკავშირის კომიტეტის მდივანი და ფიზკულტურის ხელმძღვანელი აღელვებულნი უსხდნენ მაგიდას.

— წავაგეთ, ჰა, წავაგეთ?! — უკვე მერამდენეთ იკითხა დირექტორმა.

— ამხანაგო შალვა, რად გიკვირთ?! კიდევ დავმარცხდებით, თუ სპორტული ბაზები არ გვექნება. — ცხარედ უპასუხა ფიზკულტურის ხელმძღვანელმა ვ. მელიქოვმა.

— თქვენ ამაზე ნაკლებად ფიქრობთ, თითქოს მომავალი ხელოსნების სპორტული აღზრდა სასხვათაშორისო საქმე იყოს, — უკმაყოფილოდ დაუმატა კომიტეტის მდივანმა.

— მართალი ხართ, ვღებულობ კრიტიკას, სიტყვას გაძლევთ ახლო ხანში ყველაფერს მოვაგვარებ.

...ტრაქტორის გამაყრუებელმა გუგუნმა დილაადრიან გამოაღვიძა მოსწავლეები. საერთო საცხოვრებლის აივნიდან კარგად მოჩანდა თუ როგორ უფატრავდა ყამირს მკერდს საპლანტაჟე გუთანი.

— ბიჭოს, ვენახის გაშენებას აპირებენ?

ჭაბუკებმა მინდორს მიაშურეს. ტრაქტორის უკან გრეიდერი ხვეტავდა ნახნავს, ასწორებდა და ტკეპნიდა.

— არა, აქ სპორტულ ბაზებს აწყობენ, — თქვა ერთმა.

მოსწავლეები აღფრთოვანდნენ, ზოგმა სიხარული გამოთქვა ხმამაღლა.

— მერე ჩვენ რა გულხელი დაგვიკრეფია? მონაწილეობა მივიღოთ საკუთარი სპორტული ბაზის მშენებლობაში.

— ნუ ჩქარობთ, — თქვა იქვე მდგომმა ფიზორგმა. გაკვეთილების შემდეგ კოლექტიურად შევუტევთ საქმეს, ახლა კი ტრაქტორმა მარტო იმუშაოს.

ხელისგულივით მოსწორებულ მოედანზე ახლა აღმართულია ფეხბურთისა და ფრენბურთის ძელები, კალათბურთის ფარები, სტადიონს გარს უვლის სარბენი ბილიკები, სკოლის ახალ შენობაში კი ვრცელი სპორტული დარბაზია, მდინარე ინწობის პირას საცურაო აუზიც მოაწყეს. აქ წყალჯომარდობაში იწვრთნებიან ჭაბუკები.

როცა მიწყდება სახარატო ჩარხების ხმაური და სასწავლებლის ზარი მეცადინეობის დამთავრებას აუწყებს, სპორტულ მოედნებზე ჯგუფ-ჯგუფად ჩნდებიან ახალგაზრდები, იმართება ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთსა და კალათბურთში, ნიშანში სროლასა და ფრენბურთში, ასპარეზობა მძლეოსნობაში, ქართული ჭიდაობა. სექციებს გამოცდილი სპორტსმენები გ. ბეჟანიშვილი, გ. გაგიევი, ა. ასანაშვილი, ა. ჯანიაშვილი, ვ. მელიქოვი, შ. გიგრაშვილი და გ. ჭერაშვილი ხელმძღვანელობენ. სისტემატურმა წვრთნამ მკვეთრი გარდატეხა მოახდინა — მეზობელ ფიზკულტურულ კოლექტივებთან ასპარეზობაში მუდამ იმარჯვებენ ენისლის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე სპორტსმენები.

ამას წინათ ენისელელებს თელავის რაიონიდან ძველი მეტოქეები—ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენები — ფეხბურთელები ეწვივნენ. ბევრჯერ შეხვედრიან ისინი ერთმანეთს, ორივე მხარეს დამარცხებაც უგემია და გამარჯვებაც. სტუმრებმა თამაშის დასაწყისშივე ინიციატივის ხელში ჩაგდება მოისურვეს, მაგრამ საკუთარ მოედანზე კარგად გაწვრთნილმა მასპინძლებმა მათ არ მისცეს ამის საშუალება და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. შემდეგ ჩოხააკეცილი მოჭიდავეები შეერკინენ ერთმანეთს. აქაც ენისლელებმა აჯობეს.

საღამოს სტუმრებმა დაათვალიერეს სპორტული ბაზები, გაეცნენ სექციების მუშაობას და ნანახით აღფრთოვანებულებმა აღტაცებით თქვეს:

— ასეთ პირობებში ჩვენც გავიმარჯვებდით!

სასწავლებელს ფიზკულტურის ხელმძღვანელთა საკუთარი კადრები ჰყავს. წელსაც რვა ფიზორგი და ექვსი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი მოამზადეს. გადაჭარბებით შეასრულეს მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა. მარტო ჭადრაკსა და შაშში მეხუთე თანრიგის ნორმები ხუთის ნაცვლად 37-მა ჩააბარა. ჭაბუკები ყოველდღიურად იმაღლებენ სპორტული ოსტატობის დონეს. ხშირად იმართება შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ამხანაგური ასპარეზობა ფრენბურთში გავაზის, შილდის, ყვარლის, ენისლის, საბუის, ალმატის, გრემის სკოლებთან, ხოლო კალათბურთში — გავაზისა და შილდის გუნდებთან.

სპორტულ წარმატებათა მისაღწევად დაუღალავად მუშაობენ მძლეოსნები ბ. მათიაშვილი, ს. კუსრაევი, ს. ქუჩიშვილი, კალათბურთელები — მ. ნინიაშვილი, ვ. შუბითიძე, ო. გოგინაშვილი, ფრენბურთელები — ფ. თანდილაშვილი, ა. შუბითიძე, ო. ბახტაძე, მოჭიდავენი — გ. ბეჟაშვილი, ო. წიწილაშვილი, გ. ლუარსაბაშვილი, მსროლელები — ბ. მაზიაშვილი, ყ. შაროვი, დ. ჭილიკოშვილი, მოჭადრაკეები — დ. მოზაიძე, გ. ზაუტაშვილი და მრავალი სხვ. ისინი საწარმოო სწავლებას ნაყოფიერად უთავსებენ სპორტულ წვრთნას.

ყვარლის რაიონის ენისლის სახელოსნო სასწავლებელში მძლავრად ჩქეფს სპორტული მუშაობა. ახლა, როცა სასწავლებელი მოსწავლეთა ახალი ნაკადის მისაღებად ემზადება, სპორტულ მოედნებზეც გამოცოცხლებაა: ფიზკულტურელები შემოდგომის სასწავლო-საწვრთნელი სეზონისათვის ამზადებენ ბაზებსა და ინვენტარს.

გ. ხეჩუაშვილი

მკითხველთა სიგნალები

არ აქვთ ბაზები, ინვენტარი

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დანერგვას ახალგაზრდობაში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. უყურადღებოდ არის მიტოვებული სპორტის ისეთი წამყვანი სახეები, როგორიცაა ტანვარჯიში, ლელო, ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭიდაობა და სხვ. არ სრულდება ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. ანაკლიის ლენინის სახელობის, ხეცერის კაგანოვიჩის სახელობის, ორულიეს, აბასთუმნის, ოქტომბრის, ნასაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები სუსტად მუშაობენ. აღნიშნულ კოლმეურნეობებში მოწყობილი არ არის სპორტული ბაზები, არ აქვთ ინვენტარი, სექციები ფორმალურად არსებობენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად კი არავინ ზრუნავს.

ბ. ალშიბაია

მეტი დახმარება ძირეულ კოლექტივებს

ლენინგორში ჩატარდა „კოლმეურნის“ მე-4 სარაიონო კონფერენცია. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, გასულ წელთან შედარებით რაიონში მიღწეულია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გარკვეული გაუმჯობესება. 44 კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია ქართული ჭიდაობის, მძლეოსნობის, ფრენბურთის, ცხენბურთის, ჭადრაკისა და სხვა სპორტული სექციები, რომლებშიც 992 კოლმეურნეა გაერთიანებული. მაგრამ, სამწუხაროდ, სექციების დიდი ნაწილი უმოქმედობას იჩენს, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების თავმჯდომარეები კი ნაკლებად იწუხებენ თავს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება, იშვიათად ტარდება შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, უყურადღებოდაა მიტოვებული სპორტული მოედნების მოწყობისა და ინვენტარის შეძენის საქმე. ზოგიერთ კოლმეურნეობას, მაგალითად, სოფელ ახმაჯში, პავლიაანში, ლევანაანში, ცხილონსა და სარბიელში სრულიად არ გააჩნიათ სპორტული ბაზები, ჩაშლილია საწევრო ანარიცხების აკრეფა-ჩაბარების საქმეც, რაშიც ბრალი „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მიუძღვის.

თ. მილაძემ (წირქოლის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე) უუნარო მუშაობისათვის მკაცრად გააკრიტიკა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გ. ასათიანი, რომელიც კოლმეურნეობებში დადის მხოლოდ საწევრო ანარიცხების ასაკრეფად, სპორტული მუშაობით კი ნაკლებად ინტერესდება.

ვ. ბერიანიძემ (დადიანეთის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ დადიანეთის კოლმეურნეობაში ახალგაზრდობის სპორტული გამოწრთობა მივიწყებულია.

ს. დემეტრაშვილი,
ვ. ბაკურიშვილი.

შეხვედრა ინდოელ ფეხბურთელებთან

„დინამო“ (თბილისი) — „ისტ-ბენგალ კლუბი“ (კალკუტა)

ინდოელ და თბილისელ ფეხბურთელთა შეხვედრისადმი ინტერესი მეტად დიდი იყო. თბილისის „დინამოს“ სტადიონი გუშინ ვერ იტევდა მაყურებლებს. ინდოელმა ფეხბურთელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ახლახან დამთავრებულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV ფესტივალზე. მათ დაამარცხეს ლიბანის (6:0) და ავსტრიის (2:0) გუნდები და მეოთხე საპატიო ადგილზე გამოვიდნენ. 21 აგვისტოს კალკუტის „ისტ-ბენგალ კლუბი“ მოსკოვში ეთამაშა სსრ კავშირის თასის მფლობელს „ტორპედოს“ და შეხვედრა ფრედ — (3:3) დაამთავრა.

...სრული 17 საათი და 30 წუთია. ფეხბურთის მარშის ჰანგებზე მოედანზე მხარდამხარ გამოდიან სტუმრები და მასპინძლები — ინდოელი და ქართველი ფეხბურთელები. ისინი ერთ მწკრივად ეწყობიან მოედნის ცენტრში.

კალკუტელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ამხ. ბ. კვინიხიძემ. გულთბილი საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ინდოელ სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ტიოტიშ ჩანდრა გუხამ.

დინამოელებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები და სამახსოვრო ვიმპელები მიართვეს სტუმრებს.

საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნ. ჩხატარაშვილმა მისცა თამაშის დაწყების ნიშანი. „დინამოს“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა კალოევმა ბურთი თამაშში შეიყვანა.

ორიოდე წუთის განმავლობაში მსაჯს ორჯერ მოუხდა თამაშის განახლება მოედნის ცენტრიდან. ჯერ ანთაძე შეიჭრა მოწინააღმდეგის მცველთა განლაგებაში და ძლიერად დაარტყა კარში, „ისტ-ბენგალ კლუბის“ მეკარემ გატაკმა ოდნავ დააგვიანა და მარცხენა ძელს მოხვედრილი ბურთი ბადეში გაეხვია. წუთის შემდეგ კ. გაგნიძე სწრაფად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე და მის პარალელურად მიმავალ კალოევს მიაწოდა. დარტყმა. გატაკმა კვლავ დააგვიანა და ანგარიში 2:0 გახდა.

თამაში დასაწყისში თითქმის მთლიანად კალკუტელთა ნახევარზე მიმდინარეობდა. სტუმართა მცველები ვერ იჭერდნენ დინამოელთა თავდამსხმელებს, აძლევდნენ მათ ბურთის მიღების საშუალებას და მერე ცდილობდნენ მის წართმევას, ეს კი მათთვის ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა. დინამოელები თამაშობდნენ მოედნის მთელ სიგანეზე, მოწინააღმდეგეს მცველები ერთმანეთს დიდი მანძილით ჰყავდათ დაცილებული და თავისუფლად გადიოდნენ მათ შორის. სტუმრების მცველები დორაილინგამი, კუმარი, შოამი და სხვანი ერთხანს აბრკოლებდნენ კარის უვნებლყოფას, მაგრამ მე-8 წუთზე მახარაძემ მიიღო ლოლობერიძის გადაცემა, კარგა ხანს ატარა ბურთი და მერე შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. გატაკმა მესამე ბურთი გამოიტანა ბადიდან

ინდოელებმა რამდენიმე ხნით თამაში მოპირდაპირე ნახევარზე გადმოიტანეს, მათი თავდამსხმელები, რომლებიც ფეხშიშველა, სპეციალური სახვევებით თამაშობდნენ, მოკლე, ხშირი და სწრაფი გადაცემებით საკმაო მანძილს გადიოდნენ მოედანზე. მარლანია პირველად თამაშში მხოლოდ მე-12 წუთზე ჩაება.

ლოლობერიძემ ჩვეული ოსტატობით ჩამოხსნა მაღალი ბურთი და შეუფერხებლად მიუახლოვდა მოწინააღმდეგის კარს. ძლიერად დარტყმული ბურთი ძელმა „მოიგერია“, მაგრამ კოტრიკაძე სწრაფად გაჩნდა ადგილზე და ანგარიში 4-მდე გაიზარდა.

შემდგომში სტუმრები შესამჩნევად გამოცოცხლდნენ. რამდენიმე სახიფათო გარღვევას ახორციელებენ გარემარბები ვენკატეში და ფაკრი, ბევრს და დაუღალავად მუშაობენ შუამარბები აპარაო და კანი, ბურთის ტარების კარგი ტექნიკა გამოამჟღავნა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტანგრატმა.

21-ე წუთზე დინამოელმა თავდამსხმელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც კალოევმა მეხუთე გოლით დააგვირგვინა. მალე წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმაც. ტანგრატმა მიიღო ფაკრის გადაცემა და ზედ პირით ხაზიდან, აკრობატულ ნახტომში, თავის თავს ზემოდან ფრიად „ეგზოტიკური“ ბურთი გაიტანა. 1:5. მაყურებლები მქუხარე ტაშით შეეგებნენ ინდოელთა წარმატებას. თბილისელებს კიდევ ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ლოლობერიძე, მახარაძე და ჭკუასელი ისე მიდიოდნენ ბურთით კარის ხაზამდე, რომ დარტყმა ავიწყდებოდათ.

მეორე ტაიმი დაიწყო იმით, რომ მარლანიას ზედიზედ სამჯერ მოუხდა ბურთების აღება. დინამოელებმა საგრძნობლად მოუკლეს თამაშის ტემპს და ინიციატივაც სტუმრებს ჩააბარეს. ტანგრატი, კანი და აპარაო კარგა ხანს თავისუფლად გადიოდნენ მოწინააღმდეგის მცველთა შორის. მაგრამ „ისტ-ბენგალ კლუბის“ მოთამაშეები მალე დაიღალნენ და მოედანს კვლავ თბილისელები დაეპატრონნენ. თამაშმა ისევ ინდოელთა კართან გადაინაცვლა. ერთ-ერთ შეტევისას კალოევი მოფიქრებულად გავიდა კოტრიკაძის მოწოდებულ ბურთზე და თავით გაიტანა იგი. 6:1.

თბილისელებმა შეცვალეს რამდენიმე მოთამაშე, მოედანზე გამოვიდნენ კიტია, გოგლიძე და ვარდიმიადი. ცვლილება მოხდა ინდოელთა შორისაც.

35-ე წუთზე მახარაძემ ბურთიანად მიაღწია პირით ხაზს და მოულოდნელად მიაწოდა ვარდიმიადს—7:1. ორი წუთის შემდეგ სადემონსტრაციო ფარებზე 8:1 ეწერა. ეს კალოევმა გამოიყენა კოტრიკაძის გადაცემა.

გონგის შემდეგ კალკუტის გუნდმა ერთხელ კიდევ დაიწყო ცენტრიდან. ბოლოს, მე-9 ბურთი გაგნიძემ გაიტანა.

მატჩი, რომელიც უაღრესად მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩატარდა, დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით, ანგარიშით 9:1.

ბ. ქორქია

გათამაშების ცხრილები

„ა“ კლასი

მდგომარეობა 26 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	
„დინამო“ თბ.	18	11	4	3	37:19	26
„სპარტაკი“ მ.	16	9	6	i	43:13	24
„დინამო“ მ.	17	8	5	4	32:16	21
„ზენიტი“ ლ.	19	10	1	8	24:21	21
„ტორპედო“ მ.	18	9	3	6	29:33	21
„ლოკომოტ.“ მ.	20	6	6	8	21:28	18
„ზენიტი“ კბ.	17	6	4	7	21:22	16
„ლოკომოტ.“ ხ.	20	6	4	10	19:34	16
„დინამო“ კ.	18	5	4	9	19:25	14
„დინამო“ ლ.	17	4	3	10	18:30	11
„სპარტაკი“ ვ.	18	2	6	10	9:31	10

„ბ“ კლასი
პირველი ქვეჯგუფი

მდგომარეობა 26 აგვისტოსათვის

„სპარტაკი“ (თბილისი)	15	10	4	1	42:12	24
„დინამო“ (ერევანი)	15	9	3	3	24:7	21
„ტორპედო“ (როსტოვი)	15	8	3	4	33:19	19
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	15	7	3	5	36:17	17
„დინამო“ (ალმა-ატა)	14	7	2	5	27:16	16
„სპარტაკი“ (აშხაბადი)	13	5	0	8	14:37	10
„სპარტაკი“ (ტაშკენტი)	8	3	1	4	8:11	7
„ისკრა“ (ფრუნზე)	15	3	0	12	16:53	6
ჭ. ლენინაბადი	14	1	2	11	13:41	4

„დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)

23 აგვისტოს მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ჩაატარა გათამაშების უკანასკნელი მატჩი „ა“ კლასში რკინიგზელები შეხვდნენ კიევის „დინამოს“.

თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1.

სსრ კავშირის თასზე

ქუთაისის „დინამო“, რომელიც ამას წინათ გაიმარჯვა საქართველოს სსრ 1953 წლის თასის გათამაშებაში, ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში.

30 აგვისტოს ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელები თავის მოედანზე შეხვდებიან გორკის „ტორპედოს“ ოსტატთა გუნდს.

ნ. დვალიშვილი — სსრ კავშირის ჩემპიონი

მოსკოვში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის პირველობა მძლეოსნობაში. მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

საინტერესოდ ჩატარდა 100 მეტრზე რბენა. ქალთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ნ. დვალიშვილმა, ვაჟთა შორის სუხარევმა.

„სპარტაკი“ — ფინალურ ჯგუფში

23 აგვისტოს თბილისის „სპარტაკმა“ თავის მოედანზე მიიღო ბაქოს „ნეფტიანიკი“. ამ თამაშით სპარტაკელებმა დაამთავრეს „ბ“ კლასის პირველი ქვეჯგუფის ტურნირი.

ანგარიში მე-2 წუთზე გაიხსნა, ნორაკიძემ კარგად მიიღო ფედორენკოს გადაცემა, სწრაფად შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ აქ მას მცველები უხეშად მოექცენ და პაიჭაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო. „ნეფტიანიკმა“ მაშინვე სცადა ანგარიშის გათანაბრება და მთელი შემადგენლობით გადავიდა შეტევაზე. ბაქოელთა თავდამსხმელები ხშირად იცვლიდნენ ადგილებს, სწრაფი გადაცემებით გვერდს უვლიდნენ „სპარტაკის“ მცველებს, რომლებიც, თუმცა სრული დატვირთვით თამაშობდნენ, მაგრამ მეტწილად ბურთის უმისამართო მოგერიებით კმაყოფილდებოდნენ. გუნდში არ იგრძნობოდა კოლექტიურობა, მოთამაშეები უხალისოდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ამიტომ მათი კარი ხშირად იყო საფრთხის წინაშე.

რამდენიმე მეტად სახიფათო ბურთი აიღო მეკარე ქაცარავამ, ხოლო „ნეფტიანიკის“ თავდამსხმელების კუზნეცოვის, სულეიმანოვისა და მიკუჩაძის დარტყმული ბურთები ოდნავ ასცდა კარს.

სპარტაკელთა ერთ-ერთი საპასუხო შეტევისას სტუმრების მცველმა უსეინოვმა ხელით ითამაშა თავის კარის წინ და პაიჭაძემ მეორე ბურთი გაიტანა 11-მეტრიანი დარტყმიდან — 2:0. ტაიმის დამთავრებამდე ბაქოელები კვლავ უტევდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ძლიერად დარტყმული ორი ბურთი მოხვდა თბილისელთა კარის ძელს.

თამაშის მეორე ნახევარი კვლავ ბაქოელთა შეტევით დაიწყო, მაგრამ ბურთი მაინც მათ კარში იქნა გატანილი. მეკარე ალიევი მოუფიქრებლად გამოვიდა კარიდან და ნორაკიძემ მას თავს ზემოდ გადაუგდო ბურთი. 3:0.

მე-18 წუთზე სტუმრების მარჯვენა გარემარბმა სულეიმანოვმა კარგად გამოიყენა გადაცემა მარცხენა ფრთიდან და ერთი ბურთი გაქვითა, რასაც გვარამაძემ მეოთხე ბურთით უპასუხა.

• • •

„ბ“ კლასის პირველ ქვეჯგუფში გათამაშება დასასრულს უახლოვდება. აქ სატურნირო ცხრილს თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ ერევნის „დინამო“ და თბილისის „სპარტაკი“. ორივე გუნდი მონაწილეობას მიიღებს ქვეჯგუფებში გამარჯვებული 6 გუნდის ფინალურ ტურნირში. აქ გამარჯვებული (პირველი და მეორე ადგილები) გუნდები მომავალ წელს ითამაშებენ „ა“ კლასში.

მეორე ქვეჯგუფის გუნდებს შორის ლიდერობენ „ზნამია“ (ივანოვო) და „დინამო“ (მინსკი). 15 თამაშის შემდეგ „ზნამიას“ აქვს 23 ქულა, ხოლო „დინამოს“ — 22. მესამე ქვეჯგუფში წარმატებით იბრძვის სტალინოს „შახტიორი“. სტალინოელებს 14 თამაშის შემდეგ აქვთ 22 ქულა. მეორე ადგილზეა „ტორპედო“ (გორკი), რომელმაც 13 თამაშის შემდეგ 19 ქულა დააგროვა.

• • •

სურათზე: თბილისის „სპარტაკის“ გუნდი.



ასთერთმეტი ქვეყნის ძმადნაფიცები

მონაწილის შთაბეჭდილებები

ყოველთვის, როცა სარბიელზე გამოდიოდა ტანხმელი, მაგრამ დაკუნთული და დაძარღვული ბალავაძე, მაყურებლები ყურადღებას ერთიორად ამახვილებდნენ და თვალს არ აცილებდნენ მოჭიდავეს. თითქმის ყოველ შეხვედრაში ვახტანგი რომელიმე ახალ, ლამაზ და მოულოდნელ ფანდს იხმარდა ხოლმე. ზედიზედ დაამარცხა მან რუმინელი მორეშანი, უნგრელი კენდი, ფინელი სალონენი, ირანელი სუროსი, ბულგარელი სტანჩევი. ყველა ისინი ფიზიკურად მეტად ძლიერი, დიდი ღონის მოჭიდავეები არიან, მაგრამ ბალავაძის ფანდებთან ვერაფერი გააწყვეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი შეხვედრა სტანჩევთან. ბულგარელმა მოულოდნელი გვერდითი სარტყელით ხალიჩას მოჰგლიჯა ბალავაძე და ჰაერში აიტაცა. მაყურებლებმა სული განაბეს, ბევრი უკვე ელოდა ჩვენი მოჭიდავის დამარცხებას, მაგრამ ბალავაძემ უცბად გარესარმა გაუკეთა მეტოქეს და ისე სწრაფად გაზნიქა იგი წელში, რომ წამით ორივე მოჭიდავე ჰაერში აღმოჩნდა „დაკიდული“. წამიც — სტანჩევი ორივე ბეჭზე იწვა.

შესანიშნავად იჭიდავა ვ. გიგიაძემ. ამ ახალგაზრდა მოჭიდავეს, ისევე როგორც ბალავაძეს, მანამდე არ ჰქონდა არც ერთი საერთაშორისო შეხვედრა და პირველად იყო საზღვარგარეთ. გიგიაძემ თავიდანვე მიიპყრო მაყურებელთა ყურადღება თავისი ჭიდაობის მანერით — იგი მოქმედებს დაბალ დგომში შორს წინ გაშვერილი ხელებით, ფრთხილობს, მაგრამ საჭირო მომენტში მეტად სწრაფად გადადის იერიშზე და ზედიზედ ელვისებურად ატარებს ფანდებს. გიგიაძემ დაამარცხა ფინელი პასანენი, ფრანგი კაუტერი, ჩეხი ოდეგნალი, ფინალში კი მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონს უნგრელ ბენცეს. ბენცე მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში გამოცდილი, მეტად ძლიერი მოჭიდავეა, რომელიც თანაბარი სიძლიერით მოქმედებს დგომშიც და ჩოქბჯენშიც. გიგიაძისა და ბენცეს შეხვედრა ერთ-ერთი საინტერესო და ულამაზესი იყო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენმა ღირსეულად გაიმარჯვა.

არსენ მეკოკიშვილს უკვე ყველა იცნობდა და მის გამარჯვებაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა. მართლაც, არსენა დინჯად და დარწმუნებულად ერთი მეორეზე ალაგებდა თავის მოწინააღმდეგეებს.

საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა მსოფლიო ჩემპიონმა გივი კარტოზიამ. მის გოლიათურ ძალას და ბრწყინვალე ტექნიკას აღტაცებაში მოჰყავდა ჭიდაობის მოყვარულნი. მისი წონის ერთ-ერთმა მოჭიდავემ გივის პირველი ჭიდაობის შემდეგ განაცხადა: ჩვენ მეორე ადგილისათვის უნდა ვიბრძოლოთ, ოქროს მედალს კარტოზიას ვერ შევეცილებითო.

ასევე კარგად, ჩინებულად გამოვიდნენ ფესტივალზე ენგლასი, შატვორიანი, საფინი, საიდოვი, სტაშკევიჩი, პუშკინი, ნიკოლაევი და მაზური. მათ ფესტივალის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვეს. გული დაგვწყვიტა მხოლოდ ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. ციმაკურიძემ. მან ყველა შეხვედრა ჩაატარა ჩვეული ოსტატობით, გაბედულად და საკმაოდ დიდი შანსი ჰქონდა პირველი ადგილი მოეპოვებინა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში უნგრელ მოჭიდავე გურიჩთან შეცდომა დაუშვა. ციმაკურიძე მანამდე ორჯერ იყო ნაჭიდავები უნგრელთან და ორჯერვე გაიმარჯვა, იმედი გვქონდა, რომ ციმაკურიძე ამჯერადაც გაიმარჯვებდა, მაგრამ ხალიჩის კიდეში დაშვებულმა შეცდომამ, როცა ციმაკურიძე ჩოქბჯენიდან ადგა და, რატომღაც, ხელები ძირს დაუშვა, მის მოწინააღმდეგეს გადამწყვეტი ქულა მისცა. გურიჩი წამსვე ეძგერა მას და კვლავ ჩოქბჯენში გადაიყვანა. შემდეგ დავითი ბევრს ეცადა, მაგრამ უნგრელი გაურბოდა ჭიდაობის გამწვავებას და მოწინააღმდეგის იერიშებს თავიდან იცილებდა. დავითი იძულებული იყო ვერცხლის მედლით დაკმაყოფილებულიყო.

უკეთესი ადგილის დაკავება შეეძლო ნ. მუზაშვილს. მან თუმცა მოუგო პირველ ადგილზე გამოსულ გოფმანს (უნგრეთი), მაგრამ უყურადღებობის გამო წააგო ირანელ ალი ფაზელთან და მესამე ადგილზე გამოვიდა.

მოჭიდავეთა გამოსვლა ფესტივალზე წარმატებით დამთავრდა — მათ მოიპოვეს 12 ოქროს მედალი და გუნდური პირველობა აიღეს, როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში.

თავისუფალ დროს ვესწრებოდი შეჯიბრებებს სპორტის სხვა სახეობებში, ყველაზე უფრო კრივს. ჩინებულად იბრძოდნენ ჩვენი მოკრივეები სტეპანოვი, სოკოლოვი, ენგიბარიანი და გ. დარბაისელი. მეტად საინტერესო იყო დარბაისელის შეხვედრა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივე პოლონელ კრავჩიკთან. დარბაისელმა ტემპერამენტიანად ჩაატარა შეხვედრა ძლიერ მოწინააღმდეგესთან და დაამარცხა იგი.

დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა შეჯიბრებას მძლეოსნობაში. რუმინელებს ძლიერ უყვართ მძლეოსნობა, მაყურებლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ასპარეზობას სარბენ ბილიკებზე, სახტომ ორმოებთან, ტყორცნის სექტორებზე, ხმამაღლა გამოხატავდნენ თავის კმაყოფილებას და ტაშითა და ყვავილებით აჯილდოებდნენ გამარჯვებულებს. არც ერთი მაყურებელი არ მჯდარა თავის ადგილზე, ისე წარმტაცი იყო რბენა 5.000 მეტრზე, დამსწრეთა შეძახილები თან სდევდა ორ უძლიერესს — ოლიმპიურ ჩემპიონს ჩეხოსლოვაკელ ზატოპეკსა და საბჭოთა მორბენალს კუცს. სახელგანთქმულმა ზატოპეკმა მხოლოდ 1 წამით მოუგო რბენა ახალგაზრდა მძლეოსანს. კიდევ უფრო დაძაბული იყო ქალთა ჩანათრბენა 4×200, სადაც ნ. დვალიშვილის ბრწყინვალე ფინიშმა ახალი მსოფლიო რეკორდი შესძინა ჩვენს მძლეოსნებს

არ შეიძლება არ აღინიშნოს დემოკრატიული ქვეყნების სპორტსმენთა მზარდი ოსტატობა. ჩვენი მეგობრები განუწყვეტლივ აუმჯობესებენ თავის შედეგებს, აღწევენ ახალ-ახალ წარმატებებს. მაგალითად, რუმინელმა ფრენბურთელებმა მხოლოდ მძაფრი სპორტული ბრძოლის შემდეგ წააგეს ჩვენს გუნდთან, ხოლო ბულგარელმა კალათბურთელებმა არანაკლები „უსიამოვნო“ წუთები განაცდევინეს ჩვენს კალათბურთელებს.

სპორტულ სანახაობათა გარდა ვინახულეთ ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებიც. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ი. მოისეევის მოცეკვავეთა ანსამბლის შესანიშნავმა კონცერტმა, მოცეკვავეთა ვირტუოზულმა ხელოვნებამ, მაგრამ როცა სცენაზე სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლის მოცეკვავენი გამოვიდნენ და, იქაური გაზეთის გამოთქმით „სცენაზე ცეცხლი დაანთეს“, მაყურებლები ტაშითა და ფეხების ბაკუნით აჰყვნენ მათ. მერე, როცა სახლში დავბრუნდით ასეთ სურათს წავაწყდით — ავსტრიელ სპორტსმენებს წრე შეეკრათ, ტაშს უკრავდნენ, ორნი კი წრეში ჩამდგარიყვნენ და ხელ-ფეხის ჩქარი ქნევითა და ბუქნით ქართულ ცეკვას ბაძავდნენ.

უდიდესი სიამოვნებით მოვისმინეთ აგრეთვე ჩვენი მომღერლის ტ. მახარაძის გამოსვლა. მან, ისევე როგორც სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლმა, პირველი პრიზი მიიღო.

ორკვირიანი დღესასწაული, ამხანაგური შეხვედრები, კონცერტები, შეჯიბრებები დამთავრდა. 111 ქვეყნის 30 ათასი ახალგაზრდა, მშვიდობის საქმის შეუდრეკელი მებრძოლი, ამ უდიდეს ზეიმში ძმადშეფიცული თავ-თავისი ქვეყნებისაკენ გაემგზავრა და თან წაიღო ბუქარესტის ფესტივალის წარუშლელი შთაბეჭდილება, ძმობისა და მეგობრობის შეუბღალავი რწმენა.

გამოვემშვიდობეთ ჩვენ შორეულ ძმებს, მეგობრულად გადავეხვიეთ ერთმანეთს და გზა მშვიდობისა ვუსურვეთ. ყოველი მხრიდან გაისმოდა:

— ნახვამდის, მომავალ შეხვედრებამდე.

ვ. კუხიანიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ფოთის იპოდრომზე

ოთხ დღეს მიმდინარეობდა ფოთში, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ ჩატარებული შეჯიბრება ცხენოსნობაში. მონაწილეობდნენ ზუგდიდის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ხობისა და ფოთის გუნდები.

მოედანზე პირველად მხედარი ქალები გამოვიდნენ. სამჭიდში უძლიერესი აღმოჩნდა საქართველოს ჩემპიონი ფოთელი თ. კვაჭანტირაძე. მანვე გაიმარჯვა დაბრკოლებათა გადალახვაში. ვაჟთა შორის სამანეჟო სვლაში პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდელმა ვ. ჯგერენაიამ.

საერთო ინტერესი გამოიწვია ისინდმა და ცხენბურთმა. ისინდში პირველი ადგილი დაისაკუთრეს ჩოხატაურელმა ცხენოსნებმა. მათ ფინალურ შეხვედრაში მოუგეს ცხაკაიას გუნდს (4:3). ცხენბურთში გაიმარჯვა ცხაკაიას გუნდმა. ორკილომეტრიან დოღში პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდელმა ახალგაზრდა მხედარმა ო. ხაინდრავამ, მანვე გაიმარჯვა მარულაში 10.000 მეტრზე, 8.000 მეტრზე მარულაში პირველობა ფოთელ მხედარ ბ. კვარაცხელიას დარჩა. შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს ფოთელმა ცხენოსნებმა.

მ. ჯოლია

ლაშქრობა კავკასიონის მიდამოებში

ქალაქ სტალინირის ვაჟთა პირველი და მეორე საშუალო სკოლების მოსწავლე ფიზკულტურელთა მონაწილეობით მოეწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: სტალინირი-როკა-ზაროմაგი-ძაუ-ჯიყაუ-სტალინირი ლაშქრობის მიზანი იყო მდინარე ლიახვის ხეობისა და კავკასიონის მთავარი ქედის ბუნების შესწავლა და როკის უღელტეხილზე გადასვლით მოგზაურობა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მოსწავლეებმა გზადაგზა შეაგროვეს მცენარეთა მდიდარი კოლექციები, ძაუ-ჯიყაუში ინახულეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და რვა დღის მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდნენ სტალინირში.

გ. თედეევი.

საზოგადოების პირველობაზე

კიევში ჩატარდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ველოსპორტში.

საქართველოს ნაკრები გუნდი მონაწილეობდა მე-II ჯგუფში და დაიკავა გუნდური მეორე ადგილი.

შეჯიბრებაზე კარგი შედეგები აჩვენეს ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტებმა ლ. ვეკლუჩევამ და ნ. წეროძემ.

სურათზე: იალქნიანი ნავები სოხუმის სანაპიროსთან.

უცხოეთის ფეხბურთის მოედნებზე

ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მოედნებზე გრძელდება საერთაშორისო შეჯიბრებები და ნაციონალური ჩემპიონატები. ამას წინათ ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის 1953 წლის ჩემპიონი „ინტერნაციონალე“ და შვეციის გასული წლის ჩემპიონი „ნორჩეპინგი“. მატჩი დამთავრდა შვეციის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 5:4. „ნორჩეპინგმა“ მეორე შეხვედრა წააგო „იუვენტუსთან“ (იტალია) 1:2.

ავსტრიის გუნდმა „ვიენამ“ დაამარცხა აიკ (შვეცია) 5:2. ჩილისა და ესპანეთის ეროვნული გუნდების შეხვედრა, რომელიც გაიმართა სანტიაგოში დამთავრდა ესპანელთა გამარჯვებით — 2:1. ავსტრიის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა „რაპიდმა“ კოპენჰაგენში დაამარცხა დანიის ეროვნული ნაკრები — 5:1.

ოსლოში ფრიგნერის სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო პირველობის გათამაშების წინასწარი შეხვედრა, თამაშობდნენ საარისა და ნორვეგიის გუნდები. მატჩი დამთავრდა საარის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 3:2

ყოველი მხრიდან

ჰელსინკი. ფინეთის რეკორდი 1.500 მეტრზე რბენაში გააუმჯობესა იოხანსონმა — 3:45,2. სარეკორდო დროთი აღინიშნა აგრეთვე ლინდკვისტის გამოსვლა 3.000 მეტრზე რბენაში 8:09,6 და ს. ნიკინენის გამოსვლა — შუბის ტყორცნაში — 75 მეტრი 17 სანტიმეტრი.

პარიზი. ოლიმპიური ჩემპიონის ბარტელის (ლუქსემბურგი) და ფრანგი მძლეოსნის მაბრის შეხვედრა 1.500 მეტრზე რბენაში აღინიშნა ფრანგი სპორტსმენის გამარჯვებით 3:48,2. ოლიმპიური ჩემპიონის დროა 3.49,2. 5.000 მეტრზე რბენაში კარგი შედეგი აჩვენა მიმუნმა (საფრანგეთი) — 14:08,4.

სტოკჰოლმი. აქ დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრა. 880 იარდზე რბენაში გაიმარჯვა ამერიკელმა უიტფილდმა. მისი შედეგი 1:48,6 ახალი მსოფლიო რეკორდია. მეორე ადგილზე გამოვიდა ამერიკელი სპორტსმენი სენტე — 1:48,9. მაღალი შედეგი აჩვენა სიმაღლეზე ხტომაში შელტონმა — (ამერიკა) — 2 მეტრი 8 სანტიმეტრი. ხელდმა დაამყარა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი რეკორდი შუბის ტყორცნაში — 76 მეტრი და 45 სანტიმეტრი. ბელგიელმა ჰერმანსმა 3.000 მეტრზე რბენაში დაიკავა პირველი ადგილი. მისი შედეგი — 8:06,6 მესამეა მსოფლიოში.

პარიზი. განთქმულმა ფრანგმა მოცურავემ ბოიტონმა 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 2:17,0.

„მამაცთა ასპარეზი“

ფილმმა — „მამაცთა ასპარეზი“— ამას წინათ ვენეციაში მოწყობილ საერთაშორისო კინოფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი მაყურებელთა მოთხოვნით რამდენჯერმე უჩვენეს. ფილმი მაყურებელს აცნობს საბჭოთა საცირკო ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლების — აკრობატ შუბინების, საჰაერო გიმნასტების — ბუბნოვების, საქანელაზე მოვარჯიშე აკრობატების — ბელიაკოვების, ველოფიგურისტების — ალექსანდროვების, მრგვალ ღერძზე მოვარჯიშე ნიკოლაევების, მხედრების იზაბელა და იური კოროლიოვებისა და სხვათა მრავალმხრივ ოსტატობას. მაყურებელთა მოწონებით სარგებლობენ სომხეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის ნაციონალური ცირკების მსახიობების— ერევნელი პაპიანის, აზერბაიჯანელი აბდულაევის, უზბეკელი ტაშკენბაევების, მოლდაველი ახალგაზრდების გამოსვლები.

კადრი კადრს ცვლის, ნომერი ნომერს... გამოდიან ცირკის თაღის ქვეშ გაჭიმულ ტრაპეციაზე მოვარჯიშე მსახიობები — ბუბნოვები. მათ ცვლიან ახალგაზრდა აკრობატები მსახიობები ეჩვარიო, მიმზიდველად ასრულებენ პლასტიკურ ეტიუდებს მსახიობები არკატოვები, მოხდენილი და გაბედული საჰაერო ფრენა კონევების შესრულებით. ლაღი ჰუმორით სრულდება ორიგინალური ნომერი — შეჯიბრება ფეხბურთში... გაწვრთნილ ძაღლებს შორის (მწვრთნელი ვიქტორია ოლნევიკოვა) და მოთვინიერებული დათვების (მწვრთნელი ირინა სიდორკინა) ველოშეჯიბრება. საცირკო სანახაობის ბრწყინვალე აპოთეოზს წარმოადგენს მსახიობების მირონოვასა და რეზნიკოვის რთული ვარჯიში ცირკის თაღის ქვეშ მფრინავ საჰაერო რაკეტაზე.



საერთოდ კი ფილმის ავტორებმა— რეჟისორებმა და სცენარისტებმა ს. გუროვმა და ი. ოზეროვმა, ოპერატორებმა ე. საველიევამ და ფ. ფირსოვამ, კომპოზიტორმა ი. ლევიტინმა, მხატვარმა ვ. შჩერბაკოვმა, რომლებსაც კონსულტაციას უწევდნენ მხეცების ცნობილი მომთვინიერებელი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ბორის ედერი და ლენინგრადის ცირკის მხატვრული ხელმძღვანელი გ. ვენეციანოვი, მეტად საინტერესო, მიმზიდველი საცირკო სანახაობა შექმნეს.

ფილმი „მამაცთა ასპარეზი“ საბჭოთა კინოხელოვნებისა და საცირკო ხელოვნების შესანიშნავი გამარჯვებაა. ესაა ჩვენი მამაცი, გამბედავი, სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდების საცირკო ოსტატობის ბრწყინვალე დემონსტრაცია.

ა. ომიაძე

• • •

სურათზე: კადრი ფილმიდან.

რედაქტორი ი. უგულავა

3

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03495